№ 373. კვირა, 15 ნოემბერი. 1896—1897 კვირა, 15 ნოემბერი, № 373.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

129
საჯარო ბიბლიოთეკა

ხელის მომწერთა საყურადღებოდ
(შეღავათიანის ვადით)
ვისაც წლიური ფასი არ შემოუტანია,
გაზეთის გზავნა მოესპობათ

ვამზადებ ყმაწვილებს მისაღებათ
მიწისს-მზომელთა სასწავლებელში, სამასწავლებლო ინსტიტუტში, სამხედრო სასწავლებელში და ყველა საშუალო სასწავლებლების პირველს კლასში.

Готовлю въ землемѣрное, учит. институтъ, на вольноопредѣляющагося и въ первый классъ сред. учеб. завед.
Адресъ оставить или узнать въ конторѣ типографіи Е. И. Хеладзе, Лорисъ-Мелик. улица, противъ Александровскаго сада.
ადრესი შეიძლება გაიგოს და დაიტოვოს ექ. ი. ხელაძის სტამბის კანტორაში ლორის-მელიქ. ქ. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (15—1)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის 1 ნოემბრიდამ გაიმართა დრო გამოშვებითი შეცვლილის რეისით მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.
ფასი ძალიან შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.
ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით ნაშუად. 2 საათ.
ფოთში მოდის—ოთხშაბათობით და კვირაობით დილის 8 საათ.
ბათომში მოდის—ოთხშაბათობით და კვირაობით საღამოს 6 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღის 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 8 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დღის 12 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან: ანაკრიაში, ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ-ათონში, გუდაუთში, სოჩაში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.
ცნობებისთვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს— საზოგადოების აგენტს ა. მ. ალანიას, ველიამინის ქ., 3.
ბათომს— — — — შპოლიანსკის,
ფოთს— — — — დ. ი. მანკევიჩს.
უმთავრესი კანტორა იმყოფება ოდესაში

Высочайше утвержденное Общество Азовскаго Пароходства
Срочное ускоренное, товаро-посажирское сообщеніе по Крымско-Кавказской Линіи по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой съ заходомъ по всѣмъ попутнымъ портамъ
Справки у агентовъ О-ва Тифлисъ—А. М. Аланія.
— — — — Батумъ—Шполянскаго
— — — — Поти—Д. Я. Манкевича (3—1)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—245)

Цѣна 1 шт. 2 р.
НАИЛУЧШІЙ ПОДАРОКЪ ДЛЯ САМОГО СЕБЯ
2 шт. 3 р. 75 к.
ШТЕМП.
ПОРТМОНЭ со ШТЕМПЕЛЕМЪ
(15—12)

საუკეთესო საფულე (პორტმონე) მშვენიერის ტყავიდან (აპოიკიდან) 5 განყოფილებით, 1 განყოფილება ვერცხლის ფულისათვის და ერთიც კერძოდ ოქროსათვის დასაკეტი ღილით.
ამავე საფულეს აქვს გაწყობილი კაუჩუკის ბეჭედი თავის წამლებით და სხვა მოწყობილობით.
ბეჭედში შეიძლება მოთავსდეს სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება, ვინც-კი მოისურვებს. ზომა აქვ $2^{1}/_{4} \times 1^{3}/_{4}$ ვერშოკი.
აგრეთვე იყიდება ქალებისათვისაც კოხტა, ლამაზი და მშვენიერი ზომით $1^{3}/_{4} \times 1^{1}/_{2}$ ვერ. იმავე ფასში.
ამგვარივე საფულეები, ხოლო უკეთეს მასალიდან შაგრენის და ტიულენის ტყავიდან 50 კ. მეტია.
ფასები გაგზავნით ყველგან რუსეთის იმპერიაში ერთის 2 მან., წყვილისა 3 მან. 75 კაპ.
გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

Требованія прошу адресовать
Въ контору фабрики америк. каучук. штемпелей
М. ФИШМАНЪ
ВАРШАВА
Бѣлянская 18
Просятъ ссылатся на настоящее изданіе

იაფად
იყიდება დაკაზმული გაზეთი „ივერია“ 1893 წლისა. მოიკითხონ «ცნობის ფურცლის» რედაქციაში. (6—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანცი. 11—12 საათ. სალოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყელის.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^{1}/_{2}$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. ზროტასკევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. ბუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6^{1}/_{2}$ ს.
ა. ნ. შჩაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ხელაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

13 ნოემბერი

ვენა. დეპუტატთა პალატა. დღევანდელს სხდომაზე შემდეგს ცნობებს გვაძლევენ გაზეთები: დეპუტატებმა გაგენგოფერმა და შენერერმა მუშტი-კრივი გამართეს; დეპუტატმა გრაფ ფიცჯერმა ჭიქით წყალი გადაასხა მოჩხუბართ; მინისტრნი ჩხუბის დაწყებამდე გავიდნენ დარბაზიდამ; დარჩა მხოლოდ გზათა მინისტრი გუტტენბერგი.

ბომბეი. შავი ჭირი არ კლებულობს პუნსა და სურატში: გაჩნდა კიდევ ბელგაუმსა და ახმედ-ნაგარში. მკვიდრთა ორი მესამედი ნაწილი გაიფანტა ახმედ-ნაგარიდამ. ბომბეიში 26 გახდა ავად და მათ შორის 10 კაცი მოკვდა შავის ჭირით.

პარიზი. პოლიციამ, სამინისტროს წარმომადგენლის თანადასწრებით გასჩხრიკა პარიზში პოლკოვნიკის პიკარის ბინა. რამოდენიმე წერილი უპოვნეს და შეინახეს. ამ ამბის ერთი მოწმეთაგანი ამბობს, ვითომ სამინისტროს წარმომადგენელს ეთქვას: «სადგომის გაჩხრეკამ საკმაოდ დაგვიმტკიცა ის, რაც უკვე ვიცოდით»-ო.

14 ნოემბერი.

პეტერბურგი. «მართებლ. უწყება»-ში გამოცხადებულია რუსეთსა და ბულგარეთს შორის სავაჭრო ხელ შეკრულობის შინაარსი.

დანიშნულ იქმნა: რუსეთის ელჩი საფრანგეთში, ბარონ მორენჰეიმი სახელმწიფო რჩევის წევრად და ისევ ძველ თანამდებობაში დარჩება.

ათინა. პალატამ აირჩია კომისსია, რომელმაც უნდა გამოიძიოს—ვის რა ბრალი ედება წარსულის ომის გამო და დაიშალა, სანამ მთავრობა ხელ-ახლავ არ მოიწვევს.

ზავი ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ხელ-მოწერილია.

მარსელი. პოლკოვნიკმა პიკარმა ტუნისიდამ დილას გამოიარა, პირდაპირ სადგურზე წავიდა და პარიზისაკენ გაემგზავრა.

ბერლინი. ვენიდან იუწყებიან, რომ კრიტის გუბერნატორად ასახელებენ ფრანც-იოსებ-ბატტენბერგს.

ახალი ამბავი

*** მთავარ მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს დღეს მოელიან აბასთუმნიდან.

*** ტფილისის გუბერნატორი ზიკოვი დღეს უნდა დაბრუნდეს თავის მოგზაურობიდან.

*** მადლობა შემოწირულობისათვის. «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» შემოსწირეს მუზეუმისთვის:

1, სარდიონ დალაქიშვილმა 18 ნაჭერი სხვა და სხვა ძველი ნივთ

2, ტარასი მომტელიძემ მის მიერ დახატული დიდი პორტრეტი «სურამის ციხის» ავტორის დანიელ ჭონქაძისა.

და 3, გაბრიელ ბარნაბიშვილმა ხუცური ხელთ ნაწერი საეკლესიო თხზულებანი საბა—სულხან ორბელიანისა.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ «მეურნეს» რედაქციის მიერ გამოცემული წიგნი «შავი ჭირი» შედგენილი ჩვენი ახალგაზდა ექიმის გ. ბადრიძესაგან. წიგნი სუფთად არის გამოცემული და შეიცავს ერთ ბეჭდურ თაბახს და ღირს ერთი შაური. ამ წიგნის გამოცემა სწორედ დრო-

ზედ არის, რადგან, როგორც ყველამ უწყით, შავი ჭირი ისევ მძვინვარებს ინდოეთში და ყოველ დღე მეტად უნუგეშო ცნობები მოდის იმ ქვეყნიდან.

⁂ **ზიალოვის მამულის საქმე.** ამ რვა წლის წინედ ერთმა აქაურ «კულტუროსანთაგანმა» თავისი მამულები დააგირავა ორსა თუ სამს ბანკში და მერე საზღვარ გარედ, ვგონებთ ოსმალეთში მოჰკურცხლა. ამ ამბავმა იმ ხანებში მთელი კავკასია აიყაყანა. ეხლა როგორც გაზ. «ივერია» იუწყება ხსენებული, მამული საკრედიტო ბანკმა დაისაკუთრა, ხოლო სათავად-აზნაურო ბანკმა დავა დაუწყო, მამული ჩვენთან იყო დაგირავებული ნამდვილის საბუთებით და თქვენ კი ყალბის საბუთებით დაიგირავეთო. ეს საქმე თურმე სასამართლო პალატამ განიხილა ამ თვის თორმეტსა და ხსენებული საოლი სათავად-აზნაურო ბანკს მიუსაჯა, ხოლო საკრედიტო ბანკმა უნდა გადიხადოს 1889 წლიდან ყველა ის შემოსავალი, რომელიც მან აიღო ზიალოვის მამულიდგან.

⁂ **კორექტურულის შეცდომის გასწორება.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მოამბის უკანასკნელ XI წიგნში შეცდომით არის დაბეჭდილი «მწერალი ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო». უნდა იყოს „გენერალი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე და სხ.» ეს შეცდომა მარტო სათაურშია.

⁂ **კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება.** დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის აბრეშუმის სადგურზე დანიშნულია კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, ნ. ი. სპეშნევი წაიკითხავს ლექციებს ბლეკროტის, ვაიტროტისა და ვაზის სხვა და სხვა სენის შესახებ. ამავე სხდომაზე გამოფენილი იქნება სხვა და სხვა იარაღები და საშუალებანი ვაზის ავადმყოფობის წინააღმდეგ.

⁂ **უვარგისის სანოვაგის გაყიდვა.** ქალაქის 1 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ ამ დღეებში განიხილა მოვაჭრის გასპარიანცის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა უვარგისის სანოვაგის გაყიდვა. მოსამართლემ დამნაშავედ სცნო [illegible] და ორის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

⁂ **პურის ნიხრი ტფილისში.** ნიხრის გამგე კომისსიამ შემდეგი ნიხრი დაადგინა: პური პირველის ხარისხისა—$4^1/_2$ კაპ.; მეორე ხარი —$^1/_2$ კაპ., ხოლო მესამე ხა ის—3 კაპ. გირვანქა. ამ ნიხ პირველის ხარისხისას $^1/_2$ კაპ. უკლეს გირვანქაზე, მეორე ხარი ისას ისევ ძველი ნიხრი დასტო და მესამე ხარისხისას—$^1/_2$ კაპ. უმატეს გირვანქაზე.

⁂ **შემწეობა ღარიბებს.** განზრა აქვთ, მოსკოვში შემოიღონ ახა ბეგარა ღარიბთა შესაწევნი თხის შესადგენად. ამ თანხის შე ვგენად გადახდებათ: ვინც ერთი ახურს ქირაობს—1 მან. წლიურა ში; ვინც ორსა—ორი მანათი თითოეულს მსახურზე, ვინც სამსა—ოთხი მანათი თითოეულზე და სხვ. ამას გარდა, „სადგომების ბაჟს“ უნდა მიუმატონ 25–50% ბაჟისა ამავე თანხის სასარგებლოდ. ამ ანგარიშით გამოდის, რომ მოსკოვს ყოველ წლივ ექმნება ღარიბების დასახმარებლად 575 ათასი მანათი.

⁂ **კაცის მოკვლა გორში.** გაზ. «კავკაზს» ატყობინებენ გორიდამ, რომ იქ გორელს ივანე ბალიაშვილს და თელაველს მიხეილ ნაზირიშვილს ჩხუბი მოსვლიათ და ბალიაშვილს—ნაზირიშვილი მოუკლავს დანით.

⁂ **ბატონის მაგივრად მსახური საპატიმროში.** ერთს ხარკოველ მედუქნეს რაღაც დანაშაულისათვის დატუსაღება მიუსაჯეს. მედუქნემ ისე მოახერხა, რომ ნება მისცეს თავისი სასჯელი სხვა ქალაქში მოეხადნა; ამ ნება-რთვით მან ოსტატურად ისარგებლა: დანიშნულს ქალაქში გაჰგზავნა თავისი ნოქარი, რომელიც სიამოვნებით დასთანხმდა. მივიდა საპატიმროში და გამოაცხადა: «მე ესა და ეს კაცი ვარ და დამაპატიმრეთო»! საპატიმროშიაც წინადვე ჰქონდათ განკარგულება ამის შესახებ და დაპატიმრეს. ამ ნაირად ნამდვილი დამნაშავე სასჯელს კინაღამ აცდა, მაგრამ ეგ ოინი როგორღაც გამომჟღავნდა და ხელ-ახლა საქმე შესდგა. მსახური ამბობს: „მე ქირა მეძლევა ჩემის ბატონისაგან და უნდა დუქანში მამუშავებს და უნდა საპყრობილეში ჩამსვამს თავის მაგივრადო! ჩემთვისაც სულ ერთია, ოღონდ-კი დროზე მივიღო ჩემი ჯამაგირი! ასე თუ ისე ერთგულად ვეწევი ჩემს სამსახურსო!“

⁂ **ქ. მოსკოვი.** სამზადისი «ქართულ საღამოსათვის». ყოველმა ქართველმა ძლიერ კარგად იცის, თუ რა ღარიბია უმეტესი ნაწილი ჩვენის სტუდენტობისა. მართალია, ჩვენი საზოგადოება, როგორც ძალუძს, ეხმარება მათ, მაგრამ რა ნიშნავს ეგ დახმარება,—რომელიც, მართალი რომ ვსთქვათ, ხშირად თავისს დანიშნულებას ვერ ასრულებს (ვინ იცის, როგორის შეძლების პატრონს უვარდება ხელში ეგ შემწეობა, ღარიბთათვის ეგრე გულ-წრფელად გადადებული საზოგადოების მიერ),—რას ნიშნავს-მეთქი მცირე წვლილი იმ დიდს საჭიროებასთან, რომელიც ყოველ-დღე, ყოველ საათსა და წამს წინ უდგას სტუდენტობას და არ აძლევს ერთს წუთსაც, რომ სხვა რაზედმე იფიქროს მან!.. დიახ, მართლაც რომ არა სანატრელია და სრულიად მოუხერხებელი იქნებოდა ცხოვრების სახსარს მოკლებულის ჩვენის სტუდენტობის ყოფა, რომ ერთი საშუალება არა ჰქონოდა შემწედ და მკვებავად: ეგრედ წოდებული «ქართული საღამოები» რუსეთის ქალაქებში.

ეს «საღამოები» არის სულის ჩამდგმელი აქაურის სტუდენტებისა; ეს არის მათი პატრონი, მათი მარჩენელი. ამ «საღამოს» შესცქერიან ისინი, მას ელოდებიან მოუთმენლად, მასზე აქვთ დამყარებული ყველა იმედები. რამოდენისამე თვის წინად იწყებენ ხოლმე ამ «საღამოს» გამართვაზე ზრუნვას და მეცადინეობას, რათა ეგ საქმე რიგიანად დააბოლაონ და თავისს ძმა-ამხანაგებს ლუკმა პური აღმოუჩინონ.. მერე რა ძნელია ამ საღამოების მოწყობა: რამდენი სირბილი, რამდენი თავმდაბლობა, რაოდენი თავ-მოყვარეობის დამცირება, რამდენი ხვეწნა-ვედრება სჭირდებათ მეთაურებს, მანამ მსახიობებს შეუყრიდნენ თავს; მერე სახარჯო ფულის შოვნა, დარბაზის დაქირავება და ბოლოს ბილეთების ყიდვა!..

როცა საპატიო ბილეთებს ატარებენ, თავ-მოყვარეობა სრულიად უნდა მოიშორონ: ხშირად იმისთანა სიტყვებს გაიგონებთ ზოგიერთ ვაჟბატონებისაგან, რომ აღმური გწვავთ და თავ-ბედს იწყევლით: ამ გაუზრდელს საპატიო ბილეთს მივუტანდი-კი არა, სრულიად არ შამოვუშობდი, რომ შემეძლოს, დარბაზშიო; კარზე უსიტყვოდ მითითება (ეგრედ წოდებული „вотъ Богъ, а вотъ порогъ“) ხომ სულ ჩვეულებრივი მოვლენაა. დაუმატეთ ახლა ამას ზოგის მსახიობის საქციელი. თანხმობის გამოცხადების შემდეგ უარის თქმა და ეხლა მის მაგიერად ახალის მსახიობის ძებნა (იქონიეთ მხედველობაში, რომ კერძო თეატრის არტისტებს სრულიად არა აქვთ ნება მონაწილეობა მიიღონ კერძო საღამოებზე, საიმპერატორო თეატრისას-კი საუკეთესო მსახიობებს და ისიც ზოგიერთს აქვს ერთი ან ორი საღამო; ჩვენის საღამოსთანა აქ აურიცხველია და ყოველ წელს კეთდება მრავალი, ასე რომ ზოგი მსახიობთაგანი ერთის ან ორის წლით წინედ არიან მოწვეულნი; დაუმატეთ კიდევ ისა, რომ ხარჯი ამ საღამოებზე არა ნაკლებ ორი ათასის მანათისა და ხანდისხან მეტიც არის. მარტო დარბაზი ღირს 850 მან., სიმფონიური ორკესტრი 900 მან.; ეხლა ხორო და სხვ. და შიში, რომ არ წავაგოთ და პირ-აქეთ არ დაგვედვას გარდასახადიო, გამგეებს არ აძლევს მოსვენებას და აღვილი წარმოსადგენია, თუ რა მწარე ფასად უჯდება სტუდენტებს ეგ საღამო.

აი ეხლაც, აგერ პირველ ენკენისთვიდან მეცადინეობენ აქაური სტუდენტები და ძლივს-ღა დანიშნეს საღამო 23 გიორგობისთვისათვის; რად უღირსთ ეგ დანიშნა, თქვენც მიხვდებით ზემოთ ნათქვამიდან. მაგრამ მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საღამო არ იქნება წასაგები, რადგანაც მონაწილეობას იღებენ ეგრეთი არტისტები საიმპერატორო თეატრისა, როგორნიც მაგალითად ქ-ნი ა. ფოსტრემ, ლ. ზვიაგინა, ა. და ნ. პროკოპოვიჩი, ჩიარლონე და სხვ. ბ-ნნი ა. კორეშჩენკო, ლ. პინიალოზა, ო. ასპერგერ და სხვ. მონაწილეობას იღებს აგრეთვე საიმპერატორო თეატრის ხორო ცნობილის ავრანეკის ლოტბარობით; ხორო შეასრულებს განსაკუთრებით ქართულს სიმღერებს და საგალობლებს, რომელნიც პატივცემულს ა. კორეშჩენკოს ჩაუწერია წრეულს თავისს მოგზაურობის დროს საქართველოში გურია-სამეგრელოში. კონცერტის შემდეგ გაიმართება ლეკური, რომელსაც მოსკოვის ყველა წრის საზოგადოება აღტაცებით მოელის ხოლმე და ძლიერაც უყვარს. ლეკურის შემდეგ დაიწყება საზოგადო ცეკვაობა.

როგორ ჩაივლის საღამო და სხვა წვრილმანებს თავისს დროზე გაუწყებთ.

კ. დე—ლაკი

⁂ **ს. საკეცია (რაჭა).** რაჭაში საზოგადოდ ავ-კაცობას და ბოროტმოქმედებას ნაკლებად შეჰხვდება კაცი და ამ შემთხვევაში სწორედ რომ საუკეთესო კუთხედ ითვლება მთელს საქართველოში, მაგრამ, საუბედუროდ, ამ თვის პირველს რიცხვებში ს. საკეციაში თავს დაესხნენ აქაურს მცხოვრებს ყარამან ლეჟავას ავაზაკები, გაძარცვეს და მოჰკლეს კიდეც იგი. საქმე თურმე საღამო ჟამს ყოფილა. ზოგნი შიგ სახლში შევარდნილან და ზოგნი გარედ ეზოში დარჩენილან დარაჯებად. ლეჟავას შვილი ძალზე უცემნიათ და აივნიდან ძირს გადმოუგდიათ, ხოლო თვით ყარამან ლეჟავას დაკეტილს ოთახში კარები შეუმტვრევიათ, ფული თუ ნივთეულობა წაუღიათ და საბრალო კაცი შეუბრალებლად მოუკლავთ; ქალები ძალზე შეშინებულნი და თავზარ-დაცემულნი აქეთ-იქით დაქსაქსულან. ადგილობრივი ბოქაული იაშჩენკო მყისვე შესდგომია ავაზაკებს კვალ და კვალ და, როგორც ამბობენ, უფროსი ავაზაკი ლეჩხუმის მაზრაში შეუპყრიათ კიდეც.

დიმიტრი

⁂ **ბათომი.** ქალაქის საბჭო. 10 ნოემბერს ბათომის ქალაქის საბჭომ სხვათა შორის შემდეგი საყურადღებო საქმეები განიხილა: 1) რადგან ქალაქს ამ ჟამად არა აქვს სრულებით თავისუფალი მიწა ადგილი, ამიტომ უარი გამოუცხადეს სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებას, რომელიც შუამდგომლობდა ადგილი უფასოდ დაგვითმეთ უფასოდ ბანკის შენობის ასაგებადაო 2) საბჭომ ერთ-ხმად მიიღო ხმოსნის ნ- ა. დუმბაძის წინადადება იმის შესახებ, რომ ამ თავითვე აღძრან შუამდგომლობა ადგილობრივის მარიამის დედათა სასწავლებლის ექვს კლასიან პროგიმნაზიად გადაკეთებაზედ და დაწვრილებით ამ საკითხის გამოკვლევა და გეგმის შედგენა საბჭომ მიანდო გამგეობის წევრს გ. ი. ვოლსკისა; 3) ხორცის ნიხრი: პირველი ხარისხისა 8. კაპეიკი და მეორე ხარისხისა 7 კაპ. გირვანქა (7–6 კაპეიკის მაგივრად.). ეგ ნიხრი ჯერ უნდა წარუდგინონ ვ. გუბერნატორს დასამტკიცებლად და მერმე ძალაში შევა.

— **ვირთაგვებმა ბავშვი დასჭამეს.** 11 ნოემბერს კამაროვის ქუჩაზე, მიახაილიდის სახლებში შემდეგი უბედურება მოხდა: ამ სახლში მდგომი ქალი, ლეხტერისა, სადღაც წასულა და თან უფროსი ბავშვი წაუყვანია, თავისის ოთახის კარები კი ჩაუკეტია და აკვანში მძინარე ორი თვის ბავშვი დაუტოვებია. უეცრად მეზობლებს გაუგონიათ საშინელი ტირილ წივილი ჩაკეტილის ბავშვისა, მივარდნილან; კარები ჩაუკეტიათ და საშინელი სურათი წარმოსდგენიათ თვალთ წინ: საბრალო ბავშვისათვის ვირთაგვებს სულ-ერთიანად დაეჭამათ ცხვირ-პირი და მთელი აკვანი გასისხლიანებული იყო. დაშავებული ბავშვი მაშინვე საავადმყოფოსაკენ გააქანეს, მაგრამ ყოველივე ცდა ფუჭი შეიქმნა—ბავშვი იმავე ღამეს მოკვდა. (ჩ. ვ.)

⁂ **დ. ხონი (იმერეთი).** სოფლის გზები. ვინ უნდა იზრუნოს სოფლის გზებზე? რა საკვირველია, სოფლის მოხელეებმა, მამასახლისმა მისმა თანაშემწეებმა. მაგრამ რო მამასახლისს მაზრის ბოქაული ესე ეყოლება, რომ სოფლის გზები «ფეხზედაც არ ეკიდება», როგორ იტყვიან ჩვენში, მაშინ სოფლ მოხელეებიც გზებისთვის თავს შეიწუხებენ. და სწორეთ ასე არი ჩვენში, ეს შვიდი წელიწადია ჩვე სოფლებში, დადგება თუ არა შ მოდგომის წვიმიანი ტაროსები, გა ლა აღარავის შეუძლია! მიდიხა გზაში, მაგრამ ეს სიარული უფრ ცურვაა, და არა სიარული. მის რავ ტალახში და ერთის საათის სიარულის ერთ დღეს უნდებ ვთქვათ მიაღწიე, სადაც მიდიოდ მაგრამ რა გამოსადეგია ასეთი მ სვლა? ვინ გამოგიცვლის იქ ტან სამოსს და ფეხსაცმელს? თუ არ მოიცვალე, სიცივეც მოგკლავს სირცხვილიც: კაცს ხომ არ ემგვ ნები და!... ახლა წარმოიდგინეთ სოფლების შკოლების შაგირდები მათი მდგომარეობა! თვალი უსა გლეს სანახავს ვერ ნახავს, რო ხედავთ სოფლის ტალახში მცურ პაწია ქალსა და ვაჟს წიგნებით რვეულებით ხელში, ჩურჩხელასავ ტალახში ამოსვრილებს! რა უნ ისწავლოს ამ ყოფაში შაგირდმა.

ვიმეორებთ, რომ ეს შვიდი ლიწადია ისეთი მაზრის ბოქაულ ჰყავდა აქაურობას, რომ აქ გზე სოფლებში არავის უკეთებია. ამ დაჩვეულები არც ახლა იცხელებ თავს სოფლის მოხელეები, თუმ ბრძანება მოუვიდათ, გზები აკეთო საჭიროა, ამათ გამოსაფხიზლებლა ბოქაულის მხრით ფიცხელი ზომებ საჭიროა, თითონ მან დაიაროს სო ფლები, დაატანოს ძალა, შეაგონო შესტუქსოს და სხვა.

ნესტორიანი

⁂ **ს. მუხური (სამეგრელო)** საუკეთესო სავაჭრო ადგილი. ს მუხური მდებარეობს ზუგდიდის მაზრაში მდ. ხობი-წყლის მარჯვენ და მარცხენა მხარეზე. ამ მდინარი მარცხენა ნაპირზე ჩამომწკრივებულია სამოცამდის ხის დუქნები. არსებობს სასამართლო, სამრევლო სკოლა (უწინ სამინისტრო სკოლა იყო, მაგრამ მცხოვრებლებმა უარ განაცხადეს და ეხლანდელი სამრევლო სკოლათ გადააკეთეს, სადა ასწავლის ბ. ბენდელიანი სამოცამდე ქალ-ვაჟთ); არის აგრეთვე პატარა აფთიაქი, მაგრამ, რადგან ახლოს (წალენჯიხაში) აფთიაქი არსებობდა და შემოსავალი ნაკლებ ჰქონდა, ამიტომ გადავიდა ს. ზანაში (ზუგდიდის მაზ.), სადაც ადგილი იყიდა, სახლი დადგა და მშვენიერი აფთიაქი გაალო ასე, რომ არამც თუ ახლო-მახლო დაბების აფთიაქებს არ ჩამოუვარდება. ადგილ-მდებარეობით მუხურზე უკეთესი სოფელი ზუგდიდის და სენაკის მაზრებში ძვირად მოიპოვება: ადგილი ქვიანია, მაგრამ მოსავალი ძლიერ კარგი იცის, ნამეტურ განთქმულია სამეგრელოში მუხურის ღვინო ადესა (იზაბელა). მოდიან სხვა და სხვა სოფლებიდან და ჰყიდულობენ ღვინოს, მერე დააქვთ სოფლებში და ჰყიდიან. ჩვენებური კოკა ღვინო ღირს მანეთიდან—სამ მანეთამდის. ჰაერი შესანიშნავი: ყოველ დილა-საღამოს ზაფხულში თითო საათით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდის ნელი სასიამოვნო ქარი, ეგრედ წოდებული „მასკური“, ამიტომ ზაფხულობით ბევრნი მოდიან სააგარაკოდ, მაგრამ გასართობი არაფერი არა აქვთ, მხოლოდ დღეს ერთი დაჰპატიჟებს ყველა თავადიშვილებს და მათი ოჯახობას, ხვალ მეორე და ამით ირთობენ თავს. ახალგაზდობა ჩვეულებრივ ქეიფობს ხან ერთს დუქანში, ხან მეორეში.

— **უხიდობა.** ამისთანა ყველაფრით შემკულ სოფელს აკლია ხიდი. ამ დუქნების ახლოს ერთი ძველი დანგრეული ქვის ხიდია მდ. ხობიწყალზე: აქეთ-იქით დაბალია, ხოლო შუა ადგილას მრგვალად ამაღლებულია, რომელიც ნამდვილ ძველებურ ჩვენებური სახლის თაღს მოგვაგონებსთ. ცხენით გასვლა შეუძლებელია, თუ არ ჩამოვა ცხენიდან და ისე არ გაიყვანს; ზოგიერთი თავ-მომწონე ყმაწვილები ზედ შემჯდარი დაიარებიან, მაგრამ მეტად საშიშო-კია, ურმების გასვლა ხომ სრულებით შეუძლებელია: ხარებს გამოხსნიან, ურმებს დაშლიან და ისე ნაწილ-ნაწილად გადააქვთ ერთი მხრიდგან მეორეზე. სასურველია, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ ამ დანგრეულ ხიდზე დიდი გაჭირვებული მოგზაურობაა, მაგალითად, ზაფხულობით იქითკენ დადიან მეურმეები, მოაქვთ მარილი, თევზი, ჰყიდიან და სცვლიან სიმინდზე.

გურულ-მეგრელი

*** **გორი.** საჭირო განმარტება. ბ-ნო რედაქტორო, გთხოვ უმორჩილესად თქვენს პატივცემულს გაზეთში დაუთმოთ რამდენიმე ჰწკარი ამ შემდეგ განმარტებას. № 358 „ცნობის ფურცლის“ ფელეტონში ყოვლად მშვენივრად აღწერილ იყო ბ-ნი კახაბერისაგან ივერიის ღვთის მშობლის სასწაულთ მომქმედის ხატის მოსვენება მოზდოკიდგან კავკავში; მხოლოდ ავტორს მცირე შეცდომა მოსვლია.

ბ-ნი კახაბერი ამბობს: «მოზდოკში ჩვეულებისამებრ ყოველ წლობით 15 აგვისტოს დღესასწაულობენ ღვთის მშობლის მიძინებას, და მლოცველნი არიან არა მხოლოდ მართლ-მადიდებელნი, არამედ მათთან ერთად შეერთებულნი სომეხთ კათოლიკენი და სომეხთ გრიგორიანიო...» დარწმუნებულ ვარ ბ-ნი კახაბერი არ მიიღებს საწყენად ამ ჩემს განმარტებას, ვინაიდგან 1893 წელს მე თვითონ გახლდი განწესებულ მოძღვრად თვით მოზდოკში შემვლელად იმ რომის კათოლიკეთა მრევლისა, რომელნიც შესდგებიან ქართველთ ტომთაგან და ლათინის წესის კათოლიკეთაგან და არა სომეხ კათოლიკეთაგან; თვით მათი გვარტომობა დაუმტკიცებს მოზდოკის კათოლიკეთა, რომ იგინი არიან ნამდვილად გვარით ქართველნი და სარწმუნოებით რომის კათოლიკენი. მაგალითად თავ. ჩხეიჩხეიძეები მაისურაძე. მამულაიშვილნი და საყვარელიძეები და სხვ. თუმც მართალია მოზდოკის კათოლიკეთა მცირედ იციან ქართული ენა, ესეც უნდა მივაწეროთ ჩვენი ქართველი კაცის გულ გრილობას რომ არ ვიქცევით როგორც გვასწავლის მაცხოვარი თვის სახარებაში „კაცსა თუ ვისმეს ედგას ასი ცხვარი და შესცდეს ერთი მათგანი არამედ დაუტევნესა ოთხმოცდაათ ცხრამეტნი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცდომილი იგი?“ და ჩვენ ქართველნი არა თუ ესცდილობთ ჩვენი გვარტომნი განვამრავლოთ და უკეთუ რომელიმე კიდეთა ქვეყანისათა ჰგიებენ საშუალება აღმოვუჩინოდ და შევკრიბოდ ერთად, არამედ ჩვენის უნაღვლელობით რაიც კი თვით შუაგულ საქართველოში ქართველთ ლათინის წესის და საათაბეგოში სომხის წესის ქართველთ კათოლიკენი მოიპოვებიან იმათაც სხვა და სხვა გვართ ვაკუთნებთ. მიკვირს მართლად რა მიზეზია ზოგი ერთი ვერ მიმხვდარვარ ამ სიბრძნე მოყვარეობას ანდაზას: La forme ne chonge pas la motiére. (სახე არ შესცვლის არსებას.) რა დააშავეს ერთ მუჭა ქართველთ კათოლიკეთა, რომ ხან სომხებათ და ხან ფრანგებათ უწოდებენ? დროა, მერწმუნეთ, გამოვიღვიძოთ და პირველად ჩვენვე განვარჩიოთ ნათელი ბნელისაგან, რათა შემდეგ სხვათაც შეიძლონ ჩვენი გვარტომობის განრჩევა.

დონ. გაბ. ალანიშვილი

*** **დ. აბაშა.** უმართებულო შენიშვნის გამო. ბ-ნო რედაქტორო! თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ბ-ნი გრ. აბაშიძის წერილი პასუხად «ჩანგისგან» მოწერილს აბაშაზე. რაოდენი საბუთი ჰქონდა გრ. აბაშიძეს, გამოსარჩლებოდა, თუმცა სპეციალობით, დიახაც ვექილი ბრძანდება, მოტაცებული ქალის ყოვლად ჯან-საღს და გონება-განვითარებულ მამას, ეგ დეე, მკითხველებმა დააფასონ. თუ „ბიძაშვილობა“ ვისმე ნებას აძლევს მეტიჩრობისას, მაშინ მეც ნება მომეცით ჩემს ბიძაშვილს გამოვესარჩლო უმართებულო წერილის გამოისობით. მე არ გამოვუდგები საქმის წვრილმანებს თავადის ასულის მოტაცებისას—რიგი არ არის ოჯახის ზოგს საიდუმლო გარემოებას შეეხოს კაცი და ისიც გაზეთში, ხოლო ამას კი ვიტყვი, რომ ქალი ნამდვილად მოიტაცა ჩემმა ბიძაშვილმა, რა თქმა უნდა ქალიშვილის თანხმობით, მოტაცების საწინააღმდეგო ზომებიც-კი იყო მიღებული, მაგრამ ვიმეორებ, ამაზე ლაპარაკიც ეხლა აღარ ღირს, რადგან წარსული და გათავებული საქმეა.

მე არ მესმის და თან მაკვირვებს ის ამბავი, რომ ბ-ნი გრ. აბაშიძე ალბად მოუფიქრებლად ბრძანებს, მამამ ქალზე გული აიყარა და მას მოქალაქობრივად მკვდრათ სთვლისო!.. ეგ ვერაფერი მსჯელობაა, მეტადრე ჩვენს დროში და მით უფრო «პოეტი» კაცისაგან! რაც შეეხება ჩემი ბიძაშვილის შეძლებას და განათლებას, ტყუილად სცდილობს გრ. აბაშიძე ოხუნჯობით დაჩრდილოს ან ერთი და ან მეორე გარემოება. შეძლებით მდიდარი არ არის, მაგრამ რაც შეეხება ჩვენებურ აზნაურიშვილს, დიახაც შეძლებულია და ნურავის ნუ ეფიქრება სხვებზე ნაკლებ მან შეინახოს თავის ცოლშვილი... ხოლო განათლებით, უნივერსიტეტში არ ყოფილა, მაგრამ გიმნაზიის ექვსი კლასი აქვს გათავებული და საქმის დაწყებისათვის არსად არ აქვს გზა შეკრული; დიდი განათლება ყველასათვისაც სანატრელია, მაგრამ ზოგს დიდი კი არა, საშუალოც არა აქვს და სწორედ გრ. აბაშიძეს უნდა სცოდნოდა ეს ყველაზედ უკეთ და სხვა აბუჩად არ აეგდო.

ჯაბა ჩიქოვანი

*** **ქიზიყი.** ამინდი და ღვინის მოსავალი. პირველ ნოემბერს თოვლი მოვიდა და ძალიან ყინვა-სიცივეები დაიჭირა. მრავალი მუშა ხალხი მოაცდინა ხვნა-თესვას და ვენახების შემუშავება უკან დასწია. პურის და ქერის ფასი თან და თან მატულობს ცოტ-ცოტაობით. ღვინოები ნაკლებად მოვიდა, მაგრამ საუკეთესო ღირსებისაა, რადგანაც ხელ-შეწყობილი ამინდისგან კარგად დამწიფდა ყურძენი. სირაჯები არსადა სჩანან და დარჩათ ბურთი და მოედანი წვრილ-ფეხა ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეებს. ნეტა როდის მოვესწრებით კახელ მევენახეთა ამხანაგობა «კახეთის» იქამომდე გაძლიერება-გაძლიერებას, რომ მთელის კახეთის ღვთისგან კურთხეულ ქარვა-ლალის ღვინოს ბატონ-პატრონობა გაუწიოს კახურ ღვინოს უანგარიშო მწარმოებელ-მომხმარებელთა სიკეთისათვის.

D

*** **ბოსლევი** (იმერეთი). გზის შეკვრა. ბოსლევსა და მარტოთუბანს შუა ჩამოწოლილია ზვავი ჯერაც კიდევ არ გაუწმენდიათ. მის გაწმენდამდე დროებითი ლიანდაგი გააგეს, რაზედაც ჯერ-ჯერობით მარტო სახალხო მატარებელი დაიარება, ისიც დღეში ერთხელ.

წინანდელი მატარებლის მიმოსვლა დროებით შეცვლილია, მაგალითად: შორაპნიდგან ქიათურისაკენ გადის მატარებელი დილის 7 საათზე და შორაპანში კი მოდის შუადღის პირველ საათზე.

ქარ-ცეცხლი

*** **დ. საჩხერე** (იმერეთი). ავდრები. ეს ათი დღე მეტია, რაც საშინელი გადაუღებელი წვიმებია აქეთ. ამ წვიმებს მოჰყვა თოვლი, ასე რომ ამ ღვინობისთვის 30-ს და 31-ს საჩხერის გარეშემო სოფლებში თითქმის ნახევარ არშინზედ თოვლი დასდო და საჩხერეში კი კარგათ მოფარა დედამიწა. ამ თოვლმა ძრიელ ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს—დაამტვრია და ჩამოლეწა ხეხილისა და უბრალო ხეები, ჯერ ისევ ფოთლით მოსილნი. ეს უეცარი და ადრეული ზამთარი ძრიელ აშინებს ბეჩავ ხალხს, არც გასაკვირველია, რადგან შარშანწინდელმა დიდმა ზამთარმა გამოაცდევინა ყველას გაჭირვება.

— **ხიდის საქმე.** მეორე სამწუხარო ამბავი კერძოდ ჩვენის კუთხისა შეიქნა ისევ საჩხერის ყვირილის მდინარეზედ ხიდი. როგორც იყო, ხიდი გააკეთა მოიჯარადრემ და კიდეც ჩაიბარა მან, ვისიც რიგი იყო. აიშვა თუ არა ხიდი სასიარულო ორის თუ სამის დღის შემდეგ, ქვის ყორე, რომელიც ჰქონდა სამხრეთის ხიდის ბურჯს მიშენებული ხიდზედ შესასვლელი გზის ლიანდაგის შესამაგრებლად, — ჩამოიქცა, რის გამო ურემი, თითქმის, ვეღარც კი უდგება ხიდს გასავლელად.

ეს კიდე არაფერი, მდინარე ყვირილა, წინეთ და ნამეტურ ეხლა, ეძალება სამხრეთის ხიდის ბურჯს ისე სასტიკად, რომ აგერ აგერ შემოურბენს გარს ბურჯს და ცოტა და უკლია გადასჭამოს, ხიდი მშრალზე დარჩება ჩრდილოეთ მხარესაკენ გარიყული სწორედ ასე როგორც ამას წინად ჯრუჭულის ხიდი მიატოვა მდინარე ჯრუჭულამ.

როდესაც ეს ყვირილის ხიდი დაიწყეს, მაშინ მის შესამაგრებელი და საპატიო ქვის ან ხის რაფილის გაკეთებაც ადვილი იყო და ეხლა კი, რაც დრო მიდის თან და თან უფრო გაძნელდება და შესაძლებელია, ხიდსაც დიდი ზიანი მიეცეს. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ვისიც ჯერ არს, ამ საგანს დროზედ მიაქციონ ყურადღება, თორემ ამ ზამთარშიაც უხიდოთ, დავრჩებით როგორც შარშან.

— **ხიდების გაცარცვა.** ახალ ხიდებზედ მე არას მოგახსენებთ, რადგან, როგორც მახსოვს, «ცნობის ფურცელში» უკვე იყო ამ საგანზედ ბაასი. ვინც კი ერთხელ მაინც გასულა ძველს ჯრუჭულის და ყვირილის ხიდებზედ, კარგად იცის, თუ რანაირს ძვირფასის და საფუძვლიანი მასალით იყვნენ ეს ხიდები გაკეთებულნი. მაგრამ გაკეთდნენ თუ არა ეს ხიდები, ვიღაც ბოროტ-მოქმედმა უცნაური ბოროტება ჩაიდინა: მიჰყო ხელი და ჯერ სადაც კი უჩნდა რკინის მასალა ხიდებს, სრულიად აძრო, აღარც ხის მასალები დაზოგა და ამ რიგად გაცარცვა ხიდები... ამაზე მეტი უბედურება და ზნეობით დაცემა შეიძლება განა? მე მგონია, თუ ეხლავე არ მიიღო პოლიციამ ჯეროვანი ზომები, ამ ახალ ხიდებსაც ისე დაემართება, რაც ძველებს უყვეს და ხიდებს კიდე უფრო მალე მოესწრაფება დღე და წუთი სოფელი.

ყვირილის ძველს ხიდს, კიდე ბლომად ჰქონდა მასალა; ეს ძველი მასალა მოიხმარა ახალში ყვირილის ხიდის მოიჯარადრემ ისე როგორც მას სურდა, იმედია ბ-ნი შორაპნის მაზრის უფროსი არ დასტოვებს ამას უყურადღებოდ და თუ მოიჯარადრე პირობის უფლებით არ ჰქონდა ნება მოხმარებისა, იმ მასალას ნაფასური არ დაეკარგება იმ საზოგადოებას, რომლის საშუალებითაც ძველი ყვირილის ხიდი იყო აგებული.

მალი

*** **ქ. ქუთაისი.** სასაფლაოს თაობაზედ. აგერ მესამე წელიწადია, რაც რომ ქ. ქუთაისის სასაფლაოს მთავარ ანგელოზის ეკლესიის მრევლი მესხეთი მესხერის და გეუთის ქუჩებზედ მცხოვრებნი არიან ერთ მაცადინეობაშიდ, როგორმე შეიძინონ ახალი სასაფლაო ადგილი, მაგრამ არ იქმნა საქმეს ბოლო ვერ მოუღეს. ამის მიზეზი მათი ერთმანეთშორის უთანხმობაა.

ეს საქმე, მრევლის სურვილისამებრ პირველად ძლიერ კარზით დაიწყეს მოხსენებულ ეკლესიის მნათემ ნ. გოგავამ და სამმა-ოთხმა კეთილ პატიოსან პირებმა. სასაფლაოდ ადგილიც კარგი ამოარჩიეს და ქალაქის გამგეობასაც შეამოწმებინეს, მაგრამ რა გამოვიდა, ბოროტი კეთილის მტერია, გაჩნდნენ რამოდენიმე კბილიო მატლნი და საქმე ეგრე აფუშ-დაფუშეს, რომ არ ვფიქრობთ როდისმე ბოლო მეღოს.

აგერ მეხუთე წელიწადია რაც მოხსენებული მრევლი გაჭირვებაში არის. 1892 წლამდე მიცვალებულები იმარხებოდა ამ ეკლესიის გალავანში, შემდეგკი მთავრობის განკარგულებით აღკრძალულ იქმნა და დანიშნეს ახალი საერთო სასაფლაო „ალასკურა“, რომელიც გახლავს ქ. ქუთაისის დასავლეთის მხრით საკმაოდ მოცილებული. ეს ადგილი დიდათ დაუწდომელი და მიუვალია ჩვენის მრევლისათვის. განსაკუთრებით ზამთრობით, როდესაც „ოლასკურას“ გზა ისე ფუჭდება რომ თუ ფრენით არა ისე დიახაც ძნელია ხოლმე სიარული.

დადგა ზამთარი და ხალხს კიდეც აგრძნობინა სასაფლაოს ურიგობამ თავი...

საჭიროა ხალხის ეგრეთ მდგომარეობას მიაქციონ კეთილჯეროვანი ყურადღება ადგილობრივმა მღვდლებმაც და მათი დახმარებით იქნება როგორმე ბოლო მოეღოს ამ საქმეს...

მრევლთაგანი

*** **სოფ. კულაში** (იმერეთი). ისევ სკოლის სხვა და სხვა საქმეთა გამო. (გაგრძელება). ავტორი ამტკიცებს, რომ ცხრაასი წლის განმავალობაში თუ ჯვარცმა საშუალ ალაგათ ითვლებოდა, ეხლა როგორ გადინაცვლაო? სულ ადვილად. არამც თუ ცხრაასი, ასი წელიწადიც რომ ავიღოთ იმის იქით ჯვარცმა საშუალ ალაგათ უნდა ჩათვლილიყო, რადგანაც მაშინ ხალხიც ცოტა იქნებოდა და ყველა იქნებოდენ იქვე მისახლებული. ეხლა როდესაც გამრავლდნენ, ერთად ხომ არ მოიხუხლებოდენ? რა საკვირველია, თან და თან გაიწოდენ მოსახლობით ოთხივე კუთხისაკენ, არე რომ სამტრედიაში, სადაც უწინ მგლები დაზმუოდენ, ეხლა რას ხედავთ? სამტრედიის გადაღმა «სატურიას» რომ ეძახიან, ვერს ნახევარის მანძილზედ კიდევ კულაშია. სამინისტროდამ რომ გამოიწეროთ უწარჩინებულესი მიწის ზომველები, ვერც ერთი მათგანი ჯვარცმის ეკლესიას ეხლანდელ საშუალ ალაგათ არ ჩასთვლის. მეც დავეთანხმდებით, რომ სასწავლებელი იქვე უნდა გამართულიყო, სადაც პირველად დაფუძნდა, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება? განა მარტო დაფუძნება კმაროდა? ნუ თუ არ გახსოვთ, რამდენი ზომები მივიღე მე და აგრეთვე კოწია მკურნალმა, სასწავლებლის მმართველმა, შენობის შეკეთებისათვის და რა ნაყოფი გამოიტანა? ორი წლის განმავლობაში შეგირდებს თავზედ აწვიმა და არავინ გლეხთაგანმა კრინტი არ დასძრა. სამოსწავლო მთავრობა არამც თუ შენობის შეკეთებას გვთხოვდა, არამედ ახალი მოგვთხოვა. მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი ახალი შენობის აგებისა და კიდევაც უკანასკნელად გამოუცხადე დამფუძნებელთ, რომ ძველი შენობა შეეკეთებინათ. ბოლოს, როდესაც სამოსწავლო მთავრობა გვემუქრებოდა შკოლის წართმევას, მეტი რა გზა იყო, რომ თორმეტი წლის განმავლობაში მოშორებული მხარე უნდა შამოგვიერთებია, თუმცა ყველას ეშინოდა, მოგტყუვდებით და ძველ ალაგს აგვაშენებინებენო. რადაა აქ ჩემი პირადი ინტერესები? როგორც დავრწმუნდით, ზოგიერთებს კი ჰქონებია სახეში, შემდეგ საზოგადოების შეერთებისა, მისი მოტყუილება და ცუდათ უფაქრობით. როდესაც მე [illegible] გლეხობამ მოგვმართა თქვენ შემდეგ განჩინების დამტკიცებისა, როგორც ჩვეულებ

და გამოცდილს კაცს, რისთვის არ უთხარით უარი, რომ გვიან იყო??

„ჩვენ, თავად-აზნაურობა, თავისი დაწერილი განაჩენით გამოგვრიცხა მონაწილეობიდგანო", ბრძანებს თავ. გიორგი. რა ინტერესის გულისთვის? რა იძულებდა? ნუ თუ არ იცით, რომ სახელმწიფო კანონის ძალით უმაღლეს წოდების პირებს გლეხთა საზოგადოების განაჩენში ადგილი არა აქვთ? მიახედეთ მეზობლათ ჭიხაიშისკენ: იმათაც აქვთ შკოლები, მაგრამ თავად-აზნაურობა ნოტარიუსის წესით არიან შესული მონაწილედ. ვის აქვს უფლება გამოგვრიცხოთ? მგონებ სამინისტროსაც არა აქვს ამის უფლება.

მე უწინაც და ეხლაც იმას მოგახსენებთ, რომ კომისია დიდათ დანაშაულია ფულების გაფლანგვაში. «თქვენ მოპოვებულს მჭადის ფასს სტაცებდენო» ბრძანებთ თქვენ და მე კიდევ მეტს ვიტყვი: დიდ ხუთშაბათს ხელოსნებს წართმეული ხარები და ძროხები გამოუგანათ სამტრედიაში გასასყიდათ, რამაც დიდათ შემაწუხა და ჩემის თხოვნით ადგილობრივმა ბოქაულმა უკან დააბრუნა, მაგრამ ამისთანა მკაცრი ზომები იყო მიღებული იმისთვის, რომ მოიჯარადრე ხაყალია პირობის ძალით თავის დროზედ ფულებს თხოულობდა და საზოგადოდ ქესატობის დროს ფულის მობოჭვა ძლიერ გაძნელებულიყო. ნუ თუ არ იყო ვალდებული მართებლობა, რომ ყურადღება მიექცია, რომ კომისიას სასურველი ეკონომია ეხმარა და კომისიისაგან ფულების ფარფაშისთვის ფართო გზა არ მიეცა!

უნდა გულახდით მოგახსენოთ, კნიაზო გიორგი, როს თქვენ ძლიერ მკაცრად მოექეცით კომისიას შესავალ გასავალის გამოანგარიშების დროს: ბევრი უკანონო ხარჯები აღმოაჩინეთ, მაგრამ იმავე დროს ბევრი კანონიერი ხარჯები უკანონოთ ჩაირიცხეთ. საზოგადოებას ის კი არ მიუნდვია თქვენთვის, რომ კომისიის წევრებისათვის, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ოჯახზედ მოშორებული იყვნენ, რადგანაც სარჩო არ მიგეცათ, ამის დასამტკიცებელი საბუთებიც და სხვათა შორის რამდენჯერ კომისია ადგილის დამტკიცებისათვის ქუთაისში იყო, თქვენ თითოეულს მათგანს დღე და ღამე საზრდოთ აბაზი მიუსაჯეთ. აბაზის მეტი რომ არ გეჭამათ, ხომ წელები აეწყვიტათ შიმშილისაგან? განა ქალაქის ალაგას აბაზი საკმარისია?

თქვენი «უმანკო პაპავაო», ბრძანებს თავადი გიორგი! მე სრულიად ფულების ხარჯვაში ვერ ვიცნობ პაპავას უმანკოდ და არც სჩანს ჩემი ფელეტონიდამ; მხოლოდ უმანკოება და მტკიცე მოქმედება გამოიჩინა იმაში, რომ არ დაემორჩილა არავის გავლენას, არ შეუშინდა და არავის მუქრობას, ჯეროვანად გასცა პასუხი ყოველი მხრიდამ ამობერილ ოპოზიციას, ამ საქმეს მოუნდა, ვაჭრობა მიატოვა, ოჯახი დალუპა რა საკვირველია, ყოველივე ეს თავისი ღვაწლი გააქარწყლა საზოგადოების ფულების გაფლანგვით და კიდევაც ღირსია სასჯელისა.

წერილის ბოლოში პატივცემული თავადი მთხოვს განმარტებას—თუ რა გზით შეუძლია მას სახლი მალე ჩააბაროს დირექციას, რაზედაც გიპასუხებ შემდეგს: გამოაშვებინოთ გონებიდამ საზოგადოებას ის აზრი, რომ სანამდის პაპავა ციმბირში არ წავა, ან და მთელი კომისია ფულს არ გადიხდის, მანამდის შენობის დამთავრება რომ შეჩერებულიყოს. პირობის ძალით ხაზინის ათას მანეთზედ მეტი არ ერგება და ეს ფული შენობას ვერ მოათავებს; ის უჩივა კომისიას „ნეუსტოიკას" ორი ათას მანეთს და კიდევაც შეუძლია გადაახდევინოს, (კიდევაც იჩივლა) რადგანაც ფულის კადაზედ მიუცემლობით მან ბევრი იზარალა და თუ ეს კიდევ წამოედო ამ ღაბანძღულ საქმეს, შენობის ჩაბარებას ვერც იმ საუკუნეში მოვესწრობით. ხაყალიასთან მორიგება მოვახდინოთ და შესაძლოა კიდევაც დაუკლოს. ათასი მანეთი სამინისტროდამ შემოწირული ფული არის ხაზინაში; ორ ორი მანეთი რომ გადიხადოს თვითოეულმა მოსახლემ, რაც არავის გაუჭირდება, ორი ათას მანეთზედ მეტს შეადგენს; ვიმეცადინოთ ყველა შევიდეთ მონაწილეთ თავისი წვლილის შეტანით და დამერწმუნეთ, თავადო გიორგი, რომ შენობა მალე მოთავდება და საზოგადოება ბევრად უფრო მოგებული იქნება. ასე თუ მოიქცევით, არც «წვადი დაიწვის და არც შამფური», ხოლო თუ ფულს, რომელიც კომისიას დაედვა, ამოიღებთ მართებლობის შემწეობით და სასწავლებელს მოახმართ, დიდ სამსახურს გაუწევთ საზოგადოებას. ამით გათავებ ჩემს წერის და უცხადებ თავადს გიორგი მიქელაძეს, რომ ჩვენ სადაო და საპირადო არა გვაქვსრა და ტყუილა უბრალოდ კამათობას, გაფუჭებულ საქმეს რომ მოუაროთ, ის ემჯობინება. შრომისა და მეცადინეობისათვის, ღვთისით, ბურთიც და მოედანიც თავისუფალია.

მღვდელი ერმალოზ კანდელაკი

* * *

საოჯახო ცნობანი

ხალიჩის გარეცხვა. ხარის ნაღველი უნდა გახსნათ სამ-ოთხს ლიტრა ცივს წყალში; ჯერ კარგად გაბერტყეთ ხალიჩა. მერე გაშალეთ და მაგრად მაუდით წაუსვით ნაღვლიანი წყალი და გააშრეთ. ხალიჩას მშვენიერი ფერი დაუდგება და ყოველივე ლაქიც მოსცილდება.

ფხვნილი შაქრის ავკარგიანობის გამოცნობა. ერთი წილი (ვთქვათ, ერთი გირვანქა ან ერთი კოვზი) ფხვნილი შაქარი ჩაყარეთ ოთხს წილს (ვთქვათ ოთხს გირვანქა ანუ ოთხი კოვზი) წყალში და თუ შაქარში სხვა რამ არის გარეული, წყალი მაშინვე ამღვრევა და რაც-კი რამ შიგ შაქრის გარდა იქმნება, ყველაფერს აიტივტივებს და აშკარად გამოჩნდება სიყალბე.

* * *

წვრილი ამბავი

მგოსანი დამნაშავის სკამზე. ერთს ახალგაზდა კაცს გრიგოლ იაკობის ძე შამარდინს ნოვოჩერკასის ერთს დაწესებულებაში თხოვნა შეუტანია, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა: „ნოვოჩერკასის ოლქის სამზრუნველომ ავაზაკურად მიითვისა ჩემი ქონება და საბუთებიო"... სამზრუნველოს წევრთ შეურაცყოფად მიუღიათ ეს წერილი და კიდეც უჩივლეს შამარდინს. 15 ოქტომბერს ეს საქმე განიხილა ნოვოჩერკასის ოლქის სასამართლომ. შამარდინს მსაჯულებმა ჩვეულებრივი კითხვები მისცეს:

— წერა-კითხვა იცით?

— ვიცი.

— სად გისწავლიათ წერა-კითხვა?

— ნოვოჩერკასის გიმნაზიაში.

— რომელი კლასიდამ გამოხვედით?

— მეოთხიდამ..

— რა მოხელე ბრძანდებით?

— მწერალი, მგოსანი ვარ!

— იბეჭდება, თუ არა თქვენი თხზულებანი?

— დიახ.

— დამნაშავედ სცნობთ, თუ არა, თქვენს თავს?..

— სრულიადაც არა. მე მარტო ერთის დაწესებულების შეურაცყოფა კი არ მინდოდა, არამედ მთელის უწყებისა, ყოველივე მისის წეს-წყობილებით.

ოლქის სასამართლომ მოთმინებით მოისმინა შამარდინის გრძელი გასამართლებელი სიტყვა, რომელიც დამნაშავემ სულ ლექსად წარმოსთქვა. სასამართლომ დაადგინა: ეს საქმე ხელ-ახლავ გარდაეცეს გამომძიებელს, რათა უფრო დაწვრილებით გამოიკვლიოს საქმის გარემოება და თან შეამოწმოს ბრალდებული, თუ რამდენად ჭკუად-მყოფელია იგი.

—

ქალთა რაზმი (ჯარი) ამერიკაში. ამერიკელი ქალები დიდს ამბებში არიან: კოლორადოში, ამას წინედ, კანონი გამოიცა, რომლითაც ქალებს უფლება ეძლევათ არჩევანებში მიიღონ ხოლმე მონაწილეობა. მღვდლების, ექიმების, ქალაქის მოურავების და სხვა თანამდებობას ქალებივე ასრულებდნენ და ამას წინედ ქალები მოსამართლედ და ნაფიც მსაჯულებად აირჩიეს. ეხლა მთავრობას განზრახვა აქვს კანონი გამოსცეს, რომლითაც ნება უნდა მიეცეთ ქალებს, რომ ისინიც მამა-კაცებთან ერთად, ჩაერიცხნენ ხოლმე სამხედრო ჯარში. ამ კანონის გეგმა უკვე შედგენილია და ადგილობრივმა გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საქმე შეჩერებულია, რადგან ჯერ არ შეუმუშავებიათ, როგორი ტანისამოსი უნდა ატარონ ჯარში მყოფ ქალებმა.

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი)	„—40
იგივე მშვენიერი ყდით	„—90
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I	1—20
იგივე ტომი II	1— „
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1— „
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3— „
ჩანგი	1— „
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1— „
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1— „
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის.	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1— „
იგავ-არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა	2—50
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯ.-ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. ზოტტოსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1— „
ცეცხლით და მახვილით, რომანი გ. სენკევიჩისა	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ბდაიანისა	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისი	„—30

(100—3)

სარძეო
„ლისი"
სასახლის ქუჩა,
თავად-აზნაურთა ქარვასლა
№ 117
118

მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ იშოვნონ: რძე, მაწონი, ნაღები, კარაქი, ყველი, ნაზუქი, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, კრემი, ჟელე, მურაბები, მაროჟნი და სხვა ტკბილეულობა.

ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუშები კარაქით, ყველით, კვერცხით და სხვა-და-სხვა საუზმე.

ფასი ყოველგვარზე მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ვაჭრობა დილიდან საღამომდე.

Молочная „Лиси"

Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства №№ 117 и 118.

Содержательница А. Гавріилова

(16—4)

„ივერია"

გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50	5 „	5 . 50 „
10 „	8 „ 75	4 „	4 . 75 „
9 „	8 „ —	3 „	3 . 50 „
8 „	7 „ 25	2 „	2 . 75 „
7 „	6 „ 50	1 „	1 . 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ.; პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი, «ივერიის» რედაქცია, ნიკოლოზის ქუჩა, 21

და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

«ივერიის» ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА"

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**

საფქვავი

წისქვილები

მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ

МЕЛЬНИЦЫ паровыя, водяныя, конноприводныя

изготовляетъ какъ спеціяльность

машино-строительный заводъ инженеровъ

Яралова и Алиханова

въ Тифлисѣ,

Александровская улица, собств. домъ

(100—74)

სტამბა ძმ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვისქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია